



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ**

მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მაგისტრატურა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ევროპის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

02/06/2021

დასკვნის წარდგენის თარიღი

01/07/2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	ევროპის უნივერსიტეტი - შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201954956
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მენეჯმენტი
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო	ავტორიზებული 18.01.2016, გადაწყვეტილება №5

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	
--	--

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მერაბ ხოხობაია, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ქარცივაძე, სადაზღვევო კომპანია „იმედი L”
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ლუღუნიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2015 წლიდან. პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №125 გადაწყვეტილებით (07.08.2015). ამჟამად პროგრამა ხორციელდება ავტორიზებულ რეჟიმში. მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია უმაღლესი განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სწავლების შეთავაზებით მოამზადოს და შრომის ბაზარზე მოთხოვნილი კომპეტენციებით აღჭურვოს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში ხარისხის მქონე, კონკურენტუნარიანი, სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 2 აკადემიურ წელს ანუ 4 სემესტრს და მოიცავს 120 კრედიტს, სადაც 75 კრედიტი მოდის ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსებზე, 25 კრედიტი არჩევით სასწავლო კურსებზე, ხოლო 20 კრედიტი კვლევით კომპონენტზე

(სამაგისტრო ნაშრომი). პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი ინტეგრირებულია სასწავლო კურსებში, ამასთან პროგრამა იძლევა შესაძლებლობას სტუდენტმა სურვილის შემთხვევაში აირჩიოს პრაქტიკის კომპონენტი დამოუკიდებლად.

მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩარიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, ან შიდა/გარე მობილობის საფუძველზე, ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ევროპის უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობებია: შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები სპეციალობასა და ინგლისურ ენაში-B2 დონე.

სამაგისტრო პროგრამაზე ირიცხება 13 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. პროგრამის განხორციელებას ემსახურება 18 აკადემიური პერსონალი, სადაც 10 უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალია (4 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი), აფილირებულია 4 აკადემიური პერსონალი. სასწავლო პროცესში ჩართულია 8 მონვეული პერსონალი. პროგრამას ყავს 3 კურსდამთავრებული.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ევროპის უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა ონლაინ რეჟიმში ზუმის პლატფორმის გამოყენებით 2021 წლის 2 ივნისს. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა, მათ შორის: პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმხორციელებელ აკადემიურ და მონვეულ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან. ვიზიტის პროცესში ონლაინ მოხერხდა დანესებულების სასწავლო ინფრასტრუქტურის და ბიბლიოთეკის დათვალიერება, გადამოწმდა წიგნების ხელმისაწვდომობა. დანესებულებამ თავის მხრივ უზრუნველყო მშვიდ აკადემიურ გარემოში ვიზიტის პროცესის განხორციელება.

○ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პირველი სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, შესაბამისად პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგანაც აღნიშნული სტანდარტის მხოლოდ 2.1 კომპონენტია

მეტწილად შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 2.2, 2.3, 2.4 და 2.5 კომპონენტები სრულ შესაბამისობასია სტანდარტის მოთხოვნებთან. მე-3 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მე-4 სტანდარტი სრულ შესაბამისობასია მოთხოვნებთან, სადაც მხოლოდ 4.4 კომპონენტია მეტწილ შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან. მე-5 სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

▪ რეკომენდაციები

1. რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობის კორექტირება, კერძოდ საერთაშორისო გამოცდები არ უნდა იქნეს მითითებული საერთო სამაგისტრო გამოცდების საპირწონედ;
2. რეკომენდებულია ფაკულტეტის ბიუჯეტში მკაფიოდ გაიწეროს, როგორც შემოსავლების მიღების ყველა პოტენციური წყარო, ასევე გასაწევი ხარჯების ყველა კომპონენტი;

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააძლიეროს პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით პროგრამის შემუშავებაში დამსაქმებლების პირდაპირი ჩართულობა;
2. სასურველია სასწავლო კურსი „ციფრული ტექნოლოგიები და ბიზნესის ტრანსფორმაცია“ გახდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი;
3. სასურველია სასწავლო კურსის „საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი“-ს შინაარსში მეტი აქცენტები გაკეთდეს მენეჯერული გადანყვეტილებების პროცესში ინფორმაციის როგორც სტრატეგიული რესურსის გამოყენების თავისებურებებზე;
4. სასურველია პროგრამის სტუდენტებისთვის მაქსიმალურად იქნეს მიწოდებული ქართულენოვანი სასწავლო მასალები;
5. სასურველია სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე კურსის სახელწოდება „ადამიანური რესურსის განვითარება და სტრატეგიული მართვა“ დაკორექტირდეს, როგორც „ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა“;
6. სასურველია გაიზარდოს კონკრეტულად მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართულობა;
7. სასურველია დაკორექტირდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში არსებული ჩანაწერი „დასკვნით შეფასებაზე (დაცვაზე) სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში“ და მოვიდეს შესაბამისობაში სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესში მითითებულ შეფასების წესთან;
8. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს დასაქმების ფორუმების მეტი ინტენსივობით მონაწილეობა და პროგრამის სტუდენტებს მიანოდოს მეტი ინფორმაცია პროგრამის ბაზარზე არსებული პროფილური ვაკანსიების შესახებ;

- **ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაზე**

დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციები დაწესებულების მიერ გაზიარებული იქნა. შესაბამისად, წარმოდგენილი დასკვნა არ შეცვლილა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

1. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტების ნამუშევრების გასწორების ელექტრონული სისტემა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადმინისტრირების პროცესის მოქნილობას და ზრდის სტუდენტების კმაყოფილების დონეს.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2015 წლიდან. პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №125 გადაწყვეტილებით (07.08.2015). აკრედიტაციის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, კერძოდ

- გადაიხედა მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შრომის ბაზრის მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით;
- დამსაქმებლის რეკომენდაციის საფუძველზე, პროგრამის ფარგლებში ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში ყურადღება გამახვილდა ციფრული მარკეტინგის, ელ-კომერციის ბიზნეს-პროცესების, სტრატეგიული ოპერაციების მენეჯმენტის და ა.შ. საკითხებზე, გარდა ამისა მოხდა ახალი სასწავლო კურსების შექმნა აღნიშნულ საკითხებთან მიმართებით, შესაბამისად გადაიხედა პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო გეგმა;
- ზოგიერთ სასწავლო კურსში გადახალისდა თემატიკის შინაარსი / ლიტერატურა / სწავლება-შეფასების აქტივობები ან/და შეფასების კომპონენტები, შეიცვალა ზოგიერთი სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა;
- სასწავლო კურსებში გაძლიერდა პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები (ქეისები, კვლევითი ხასიათის თუ საპროექტო/პრაქტიკული დავალებები);

- გაძლიერდა პროგრამის ინგლისურენოვანი კომპონენტი, კერძოდ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად განისაზღვრა შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში B2 დონეზე, გარდა ამისა პროგრამის სასწავლო გეგმას დაემატა 4 ინგლისურ ენოვანი სასწავლო კურსი: 1) Managerial Economics (მენეჯერული ეკონომიკა - სავალდებულო სასწავლო კურსი); 2) Game Theory for Managers (თამაშთა თეორია მენეჯერებისათვის - არჩევითი სასწავლო კურსი) 3) Digital Marketing Development Trends (ციფრული მარკეტინგის განვითარების ტენდენციები - არჩევითი სასწავლო კურსი); 4) Agile Project Management (პროექტების მართვა მოქნილი ეჯილ სისტემებით - არჩევითი სასწავლო კურსი);
- მეტი ყურადღება გამახვილდა პრაქტიკული/კვლევითი სახის დავალებების შესრულებასა და შესაბამისი უნარების განვითარებაზე;

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ევროპის უნივერსიტეტის მაგისტრატურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა - „მენეჯმენტი“ ფოკუსირებულია სამი საკვანძო მიზნის მიღწევაზე. მენეჯმენტის სფეროს უახლესის მიღწევების გათვალისწინებით პროგრამის მიზანია სტუდენტებს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა ბიზნეს-ორგანიზაციების ეკონომიკური გარემოს და ორგანიზაციული პროცესების მართვასთან დაკავშირებით. ასევე, მნიშვნელოვან ვექტორად გამოყოფილია თეორიული ცოდნის პრატიკაში გამოყენების, ორგანიზაციის/ბიზნესის განვითარების შესაძლებლობების, რისკების შეფასების, მენეჯმენტის დარგისათვის დამახასიათებელი კომპლექსური პრობლემების პრაქტიკული თუ მეცნიერული კვლევისა და შემოქმედებითი გადაწყვეტის უნარების განვითარება. პროგრამის მიზანში დაკონკრეტებულია ის უნარ-ჩვევები რომლის განვითარების შედეგად კურსდამთავრებული შეძლებს კერძო/საჯარო ორგანიზაციებში მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებას, საორგანიზაციო-მმართველობითი, საინფორმაციო-ანალიტიკური საქმიანობის განხორციელებას. მთლიანობაში, მიზნები ჩამოყალიბებულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და ასახავს იმ საკვანძო მიმართულებებს, რომელიც აუცილებელია ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების, კერძოდ მენეჯმენტის სპეციალისტების მომზადებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის მიზნები ჰარმონიზებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიასთან და ხედვასთან. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას განხორციელებული აქვს შრომის ბაზრის კვლევა, შესაბამისად პროგრამის მიზნებში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის ტენდენციებიც. საგანმანათლებლო პროგრამა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

<ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები; ○ საგანმანათლებლო დანესებულების მისია და ხედვა; ○ საგანმანათლებლო დანესებულების ვებ-გვერდი https://eu.edu.ge/ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ევროპის უნივერსიტეტის მაგისტრატურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა - „მენეჯმენტი“ უზრუნველყოფს სწავლის რვა საკვანძო შედეგს, რომელიც მოიცავს ცოდნა გაცნობიერების, უნარების, ავტონომიურობის და პასუხისმგებლობის კომპონენტებს რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულების შემდეგ. ცოდნა გაცნობიერების ნაწილში სიღრმისეულად აღწერს მენეჯმენტის სფეროსთან დაკავშირებულ თანამედროვე კონცეფციებს, თეორიებს, უახლეს მიდგომებსა და ფუნდამენტურ პრინციპებს, ინოვაციური მიღწევებისა და მეცნიერული კვლევის უახლეს შედეგებს. ორგანიზაციული მენეჯმენტისა და ბიზნესის მართვის სფეროში მიღებულ თეორიულ ცოდნას აკავშირებს ბიზნესის მართვაში თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული ორიგინალური /ინოვაციური იდეების გენერირებასა და უახლესი მეთოდებით კვლევასთან. უნარების ნაწილი უზრუნველყოფს ხუთი სწავლის შედეგის მიღწევას. კერძოდ, იგი მოიცავს ბიზნესის მართვის და მენეჯმენტის სფეროში თანამედროვე გამოწვევების კომპლექსური ანალიზის უნარების განვითარებას. ასევე, სტუდენტი გამოიყენებს თანამედროვე კონცეფციებს, მიდგომებს, მოდელს, კვლევის</p>

სტანდარტულ/ინოვაციურ მეთოდებს, ბიზნეს/ორგანიზაციული პროცესების კვლევის, პროგნოზირების, რისკ-ფაქტორების გამოვლენა-შეფასების რელევანტურ ინსტრუმენტებს. ამავე ნაწილში ყურადღება გამახვილებულია თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით კვლევის დამოუკიდებლად წარმართვის უნარების განვითარებაზე. ავტონომიურობის და პასუხისმგებლობის ნაწილი უზრუნველყოფს სწავლის ორი საკვანძო შედეგის მიღწევას. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში წარმოდგენილი სწავლის შედეგები ჰარმონიზებულია პროგრამის მიზნებთან და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებით განსაზღვრულ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მომზადებას.

პროგრამაში დანართების სახით წარმოდგენილია მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, სწავლება-სწავლის მეთოდების/აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა, პროგრამის სასწავლო გეგმა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია. რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამით გათვალისწინებული თითოეული კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგი. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს შედეგად დასტურდება პროცესებში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. თუმცა, გარკვეული სისუსტე გამოიკვეთა დამსაქმებლების ჩართულობის კუთხით. მიზანშეწონილია დაწესებულებამ გააძლიეროს პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით პროგრამის შემუშავებაში დამსაქმებლების პირდაპირი ჩართულობა. საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს როგორც გარე ტენდენციების შეფასებას (შრომის ბაზრის კვლევა), ასევე, უნივერსიტეტში ხორციელდება სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან კვლევები, რომელიც ხელს უწყობს სწავლის შედეგების დახვეწას და პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით შესაბამისი აქტივობების იმპლემენტაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან, განმახორციელებელ აკადემიურ და მონვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (<https://eu.edu.ge/ge>).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააძლიეროს პროგრამის შემდგომი

განვითარების მიზნით პროგრამის შემუშავებაში დამსაქმებლების პირდაპირი ჩართულობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კერძოდ პროგრამაზე სწავლა შესაძლებელია საერთო სამაგისტრო გამოცდების, საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე, მობილობის და შიდა გამოცდების (სპეციალობა, უცხო ენა (ინგლისური)) შემთხვევაში, კერძოდ:

- **საერთო სამაგისტრო გამოცდებით:** ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების/საერთაშორისო გამოცდების შედეგების საფუძველზე, ან შიდა/გარე მობილობის საფუძველზე, ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
- **საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე:** ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/6 ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებული არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად.
- **შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები** - ტარდება სპეციალობასა და ინგლისურ ენაში-B2 დონე (იხ. „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი“). შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები და გამოსაცდელ პირთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.eu.edu.ge) გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ სამი თვით ადრე.

ცხადია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკური, ადექვატური და სამართლიანია, თუმცა საერთო სამაგისტრო გამოცდებით პროგრამაზე ჩარიცხვის რეჟიმის შემთხვევაში, საერთო სამაგისტრო გამოცდების საპირწონედ მითითებულია საერთაშორისო გამოცდები, რაც ბუნდოვანია. გამომდინარე აქედან მიგვაჩნია, რომ რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში მოხდეს კორექტივების შეტანა აღნიშნულ ჩანაწერში, კერძოდ საერთაშორისო გამოცდები არ უნდა იქნეს მითითებული საერთო სამაგისტრო გამოცდების საპირწონედ. აქვე უნდა აღინიშნოს, ისიც რომ აღნიშნული რეკომენდაცია განხილული იქნა ადგილზე დანესებულების წარმომადგენლებთან ერთად.

პროგრამაზე ჩარიცხვის პირობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ევროპის უნივერსიტეტის ქართულ და ინგლისურენოვან ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან;
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: (<https://eu.edu.ge/ge>).

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობის კორექტირება, კერძოდ საერთაშორისო გამოცდები არ იქნეს მითითებული საერთო სამაგისტრო გამოცდების საპირწონედ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების“

შესაბამისად. შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამის შემუშავებაში პირდაპირ ან ირიბად ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მონვეული პერსონალი. პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 2 აკადემიურ წელს (4 სემესტრს) და მოიცავს 120 (ECTS) კრედიტს.

მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

სასწავლო კომპონენტი - 100 ECTS კრედიტი, სადაც

- ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები - 75 ECTS კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამის არჩევითი სასწავლო კურსები - 25 ECTS მოცულობით

კვლევითი კომპონენტი - 20 ECTS კრედიტი - წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის სახით. პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტი წარმოდგენილია ე. წ. პრაქტიკის შერეული მოდელის სახით, სადაც თეორიულ კურსებში ჩაშენებულია პრაქტიკის კომპონენტი და სტუდენტს ასევე ეძლევა შესაძლებლობა სურვილის შემთხვევაში აირჩიოს პრაქტიკა დამოუკიდებელი კურსის სახით.

პროგრამის ფარგლებში არჩევით კომპონენტებში ასევე მოიაზრება სპეციალობის გაღრმავებისკენ მიმართული სასწავლო კურსები, რომლებიც წარმოდგენილია 25 კრედიტის მოცულობით და სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს საკუთარი სასწავლო/კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე მოახდინოს მინოდებული 65 კრედიტის ფარგლებში კონკრეტული მისთვის საინტერესო კურსების არჩევა.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. მისი განვითარება და შინაარსი იძლევა შესაძლებლობას მიღწეული იქნეს პროგრამის სწავლის შედეგები.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც რომ პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში წარმოდგენილია რიგი საინტერესო და ჩვენი აზრით შესასწავლად საჭირო სასწავლო კურსები, მაგალითად სასწავლო კურსი „ციფრული ტექნოლოგიები და ბიზნესის ტრანსფორმაცია“ თუ გახდება სავალდებულო სასწავლო კურსი მისი შინაარსიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროგრამის სწავლის შედეგების კიდევ უფრო მაღალ დონეზე მიღწევას. გამომდინარე აქედან, მიგვაჩნია, რომ კარგი იქნება სასწავლო კურსი „ციფრული ტექნოლოგიები და ბიზნესის ტრანსფორმაცია“ თუ გახდება პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი. თუმცა, მიუხედავად აღნიშნული რჩევისა შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამით განსაზღვრული მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

<ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ○ ევროპის უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები“; ○ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან; ○ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან, განმახორციელებელ აკადემიურ და მონვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან; ○ დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიშები; ○ ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (https://eu.edu.ge/ge).
<p>რეკომენდაციები:</p> <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ სასურველია სასწავლო კურსი „ციფრული ტექნოლოგიები და ბიზნესის ტრანსფორმაცია“ გახდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაში გათვალისწინებული სწავლების ძირითადი სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსები, რომელთა სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სწავლის შედეგების რუკა, რომელიც განსაზღვრავს თითოეული სასწავლო კურსით მისაღწევ სწავლის შედეგს. პროგრამას თან ახლავს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი სასწავლო კურსი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას და რა ხარისხით. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაში ამ კურსების სწავლის შედეგებთან. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება სილაბუსის თემატიკას და უზრუნველყოფს სტუდენტებს თემატიკასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაციით. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა ეფუძნება სფეროს აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სასწავლო კურსების ფარგლებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების თანაფარდობის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა სასწავლო კურსის შინაარსი და სპეციფიკა.

მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას თან ახლავს პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა, რომელიც კარგად აღწერს პროგრამის რომელი სწავლის შედეგი მიიღწევა სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლება-სწავლის კონკრეტული მეთოდით და აქტივობით. გარდა ამისა, პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში ადექვატურად არის განერილი

სწავლება-სწავლის ის მეთოდები და აქტივობები, რომლებიც აუცილებელია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მისაღწევად. გარდა, ამისა პროგრამას თან ახლავს პროგრამის სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების რუკა. თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში აღწერილია შეფასების ის ფორმები და მეთოდები რომლებიც უზრუნველყოფს სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნულ რუკა იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელი შეფასების მეთოდი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებას.

ამასთან, პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის მიმართ გავაჩნია, გარკვეული მოსაზრებები, მაგალითად სასურველია სასწავლო კურსის „საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი“-ს შინაარსში მეტი აქცენტები გაკეთდეს მენეჯერული გადანაცვლებების პროცესში ინფორმაციის როგორც სტრატეგიული რესურსის გამოყენებაზე. გარდა ამისა, ინტერვიუებისას პროგრამის სტუდენტების მხრიდან გამოიკვეთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ კარგი იქნება თუ ყველა საგანში სასწავლო მასალები მიწოდებული იქნება ქართულ ენაზე. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ითვალისწინებს ინგლისური ენის ცოდნის სავალდებულოდ დადასტურებას იმ დონეზე, რომ წესით სტუდენტმა უნდა შეძლოს ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამოყენება, მიგვაჩნია, სასურველია პროგრამის სტუდენტებისთვის მაქსიმალურად იქნეს მიწოდებული ქართულენოვანი სასწავლო მასალები. ასევე, სასურველია სასწავლო კურსის შინაარსიდან

გამომდინარე კურსის სახელწოდება „ადამიანური რესურსის განვითარება და სტრატეგიული მართვა“ დაკორექტირდეს, როგორც „ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან, განმახორციელებელ აკადემიურ და მონვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან;
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (<https://eu.edu.ge/ge>).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სასწავლო კურსის „საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი“-ს შინაარსში მეტი აქცენტები გაკეთდეს მენეჯერული გადწყვეტილებების პროცესში ინფორმაციის როგორც სტრატეგიული რესურსის გამოყენების თავისებურებებზე;
- სასურველია პროგრამის სტუდენტებისთვის მაქსიმალურად იქნეს მიწოდებული ქართულენოვანი სასწავლო მასალები;
- სასურველია სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე კურსის სახელწოდება „ადამიანური რესურსის განვითარება და სტრატეგიული მართვა“ დაკორექტირდეს, როგორც „ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა“.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულია ჩაშენებული ინტეგრირებული პრაქტიკის კომპონენტი, კერძოდ ცალკეული სავალდებულო სასწავლო კურსებში მრავლად არის წარმოდგენილი პრაქტიკული უნარების განვითარებისათვის საჭირო სწავლა-სწავლებისა და შეფასების ისეთი მეთოდები, როგორცაა ბიზნეს/სიმულაციური/ სიტუაციური თამაშები; შემთხვევის განხილვაზე დაფუძნებული სწავლება (Case-Based Learning - CBL); შემთხვევის ანალიზი (Case-Study); პრობლემური შემთხვევა (Case-Problem); პროექტის მომზადება და/ან პროექტზე დაფუძნებული სწავლება (Project-Based Learning-PBL); რეფერატი და ა.შ. აღნიშნული მეთოდები გამოყენებულია შემდეგ სასწავლო კურსებში: სტრატეგიული ოპერაციების მართვა; გლობალური სტრატეგიები და კონკურენტული უპირატესობის მართვა; კორპორაციის ფინანსების მართვა; პროექტების მართვა მენეჯერებისათვის; ორგანიზაციული განვითარება, ცვლილებები და ქცევის მართვა; მარკეტინგის მენეჯმენტი; ინოვაციები და მენარმეობა; ლიდერული უნარჩვევები მენეჯერებისათვის; ბიზნესის ანალიტიკა მენეჯერებისათვის და ადამიანური რესურსის განვითარება და სტრატეგიული მართვა. გარდა, ზემოთაღნიშნულისა პრაქტიკული უნარების განვითარებას უწყობს ხელს რიგი ღონისძიებებისა რომელიც პერმანენტულად იმართება ევროპის უნივერსიტეტში და მასში აკადემიურ პერსონალთან ერთად მონაწილეობას იღებენ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებიც.

მაგალითად, ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის, ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ორგანიზებით, ევროპის უნივერსიტეტში სამი ონლაინ პანელური დისკუსია გაიმართა. თემა: "კორონავირუსი, გლობალიზაცია და საქართველო: ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები" (2020 წელი, 19 მაისი, 30 ივნისი, 30 ოქტომბერი); 2019 წლის 28 მარტს გაიმართა თეორიული სემინარი თემაზე - "საქართველოს ენერგეტიკული სისტემა თანამედროვე გამოწვევების პირობებში", სადაც მონაწილეობდნენ როგორც, მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი და მონწვეული მასწავლებლები, ასევე ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტები და ა.შ.

სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარების მიზნით სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისას, სწავლა-სწავლების პროცესში, სტუდენტებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დამოუკიდებლად დაგეგმვა-წარმართვის უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით ცალკეულ სასწავლო კურსებში ინტეგრირებულია კვლევითი აქტივობები, მათ შორის, კვლევითი პროექტი ან რეფერატი. გარდა ამისა, პროგრამა სავალდებულოდ

ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას 20 კრედიტის ფარგლებში, რომელსაც ერთერთ წინაპირობად განსაზღვრული აქვს 6 კრედიტიანი სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები ბიზნესში“. სამაგისტრო ნაშრომის მომზადების მიზანია: ორგანიზაციული მენეჯმენტისა და ბიზნესის ადმინისტრირების აქტუალური საკითხებისა და პრობლემების აკადემიური კვლევის აუცილებელი უნარების განვითარება ორგანიზაციული მენეჯმენტისა და ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში. სამაგისტრო ნაშრომს მაგისტრანტი ასრულებს ინდივიდუალურად, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ ევროპის უნივერსიტეტში მოქმედებს „პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები“. უნივერსიტეტში გამოიყენება ელექტრონული პროგრამა „Turnitin“, რომელიც ხელს უწყობს პლაგიატის აღმოჩენას და უზრუნველყოფს სტუდენტებში აკადემიური კომუნიკაციის უნარების ჩამოყალიბებას. აღნიშნული მიმართულებით უნივერსიტეტი პერმანენტულად ახდენს ტრენინგების, ვორკშოპების ორგანიზებას. მაგალითად, 2019 წლის 1 და 4 მაისს ევროპის უნივერსიტეტში ჩატარებულ ტრენინგზე განხილული იქნა აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხები და პლაგიატთან ბრძოლის მექანიზმები, კერძოდ, პროგრამა „Turnitin“-ის გამოყენება. 2021 წლის 22-27 მარტს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრისა და უნივერსიტეტის ფაკულტეტების ჩართულობით ევროპის უნივერსიტეტში გაიმართა "აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის პრევენციის კვირეული" და ა.შ. გარდა ამისა ინფორმაცია აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ შეტანილია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში და განემარტება სტუდენტს ყოველი სასწავლო კურსის ფარგლებში. ევროპის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ასევე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი, რომლის საქმიანობის მიზანია უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა. უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განვითარების პროცესში გამოყენებულია ასევე, სამეცნიერო ბაზები, შესაბამისად უზრუნველყოფილია სტუდენტების დაშვება სამეცნიერო ბაზებზე. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან, განმახორციელებელ აკადემიურ და მონვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან;
- პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცესი და მექანიზმები;

<ul style="list-style-type: none"> ○ ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (https://eu.edu.ge/ge).
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<ul style="list-style-type: none"> ➤ სასურველია გაიზარდოს კონკრეტულად მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართულობა;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდები. მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მიზნები ხორციელდება და სწავლის შედეგები მიიღწევა უპირატესად სასწავლო კურსების ფარგლებში შემოთავაზებული ლექციების, სამუშაო ჯგუფში მუშაობის, თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაციის მიზნით პრაქტიკული მეცადინეობების საშუალებით, სტუდენტთა კონსულტირების, მათი დამოუკიდებელი მუშაობის, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კვლევითი პროექტის - სამაგისტრო ნაშრომის მომზადების მეშვეობით. თითოეული სასწავლო კურსისთვის სწავლება-სწავლის მეთოდები შერჩეულია შესაბამისი შესასწავლი მასალის შინაარსისა და მისაღწევი სწავლის შედეგების გათვალისწინებით. სასწავლო კურსის სილაბუსი იძლევა დეტალურ ინფორმაციას გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების და აქტივობების შესახებ. პროგრამის ფარგლებში ცალკეული</p>

სასწავლო კურსების განხორციელებისას სწავლება-სწავლის პროცესში გამოიყენება ლექციები, სემინარული მუშაობა, ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, დებატები, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ბიზნეს/სიმულაციური/ სიტუაციური თამაშები, რეფერატები, პროექტები, ქეისები და ა.შ.

მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლება-სწავლის მეთოდები გამოიყენება ისე, რომ გათვალისწინებულია სასწავლო კურსის შინაარსი და სასწავლო კურსით მისაღწევი შედეგები. პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით პროგრამას თან ახლავს სწავლებისა და სწავლის მეთოდების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა, სადაც დეტალურადაა წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები პროგრამით დასახული რომელი სწავლის შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ დანერგვებულ საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება სტუდენტთან ინდივიდუალური მიდგომები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სახეებს, შემუშავების საფუძვლებსა და პროცედურებს განსაზღვრავს ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“. უნივერსიტეტი სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს Moodle-ის ელექტრონულ პლატფორმას, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების ელექტრონულ ფორმატში შეუფერხებელ წარმართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან, განმახორციელებელ აკადემიურ და მონვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან;
- ევროპის უნივერსიტეტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ევროპის უნივერსიტეტის მიერ გამოყენებული Moodle-ის ელექტრონული პლატფორმა (<https://moodle.edu.ge/moodle/>).
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (<https://eu.edu.ge/ge>).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ, პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“. სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება შეფასების ფორმებით, შუალედური შეფასებით და დასკვნითი შეფასებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური საბოლოო შეფასება შეადგენს 100 ქულას.

მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაში ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად არის ასახული შეფასების ის მეთოდები, კრიტერიუმები რომლებიც ორიენტირებულია სასწავლო კურსის სწავლების მიზნებზე და მის სპეციფიკაზე. სტუდენტის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების გაზომვისა და ათვისებული ცოდნის ობიექტურად და სრულფასოვნად შეფასებისათვის გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების ფორმები. განმავითარებელი შეფასების მიზანია - სტუდენტის განვითარების ხელშეწყობა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების მიზანია - სწავლის ხარისხის გაკონტროლება; სტუდენტის მიღწევის დონის დადგენა სასწავლო კურსის სილაბუს(ებ)ით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით, აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა. ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტის შეფასების ფორმებს, მეთოდებსა და კრიტერიუმებს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი სასწავლო კურსის სპეციფიკისა და სასწავლო კურსის ფარგლებში განსაზღვრული სწავლის შედეგების გათვალისწინებით.

საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასების და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს. შუალედური შეფასებისთვის და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრულია

შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასების 30 % , დასკვნითი გამოცდის შეფასების 50%. კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება თუკი შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვარის და დასკვნით გამოცდაში დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის საფუძველზე მიღებული ქულების დაჯამებით მიიღება 51 ქულა ან მეტი. ამასთან, შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად (სამუშაო ჯგუფ(ებ)ში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, შუალედური გამოცდა, პრეზენტაცია და ა.შ.), რომლებსაც აქვთ თავისი პროცენტული წილი შეფასების ფარგლებში. კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხდება შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება და სტუდენტის მიერ შეფასების თითოეული კომპონენტისათვის განსახორციელებელი აქტივობებისა და შეფასების წესის დადგენა შესაბამისი სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორის მიერ. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში კვლევითი კომპონენტის შეფასება ხორციელდება ერთჯერადად დადგენილი წესის შესაბამისად, რაც დეტალურად არის განერილი სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში და სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში. ამასთან, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში შეფასების ნაწილში ჩარჩენილია ჩანაწერი „დასკვნით შეფასებაზე (დაცვაზე) სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში“, შესაბამისად საჭიროა აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის კორექტირება და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესთან შესაბამისობაში მოყვანა.

უნივერსიტეტში მოქმედებს ასევე გასაჩივრების მექანიზმი, კერძოდ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ საჭიროების შემთხვევაში გაასაჩივრონ არა მარტო ცალკეული საგნის ფარგლებში მიღებული შედეგები, არამედ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შედეგებიც. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შედეგების გასაჩივრების წესი განერილია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან, განმახორციელებელ აკადემიურ და მონვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან;
- ევროპის უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომების შესრულების წესი;
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (<https://eu.edu.ge/ge>).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დაკორექტირდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში არსებული ჩანაწერი „დასკვნით შეფასებაზე (დაცვაზე) სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში“ და მოვიდეს შესაბამისობაში სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესში მითითებულ შეფასების წესთან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სტუდენტთა კონსულტირებას ახორციელებენ ფაკულტეტი, კერძოდ, დეკანი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი. ფაკულტეტის თანამშრომლები უზრუნველყოფენ სტუდენტთა ინფორმირებას და კონსულტირებას სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ. უნივერსიტეტში, მუშაობს ელექტრონული პლატფორმა, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა (<https://eunsis.eun.edu.ge/>), რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სტუდენტის აკადემიური რეგისტრაცია ყოველი სემესტრის დასაწყისში. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა კარიერულ განვითარებასა და დასაქმებასთან დაკავშირებულ კონსულტაციებს. ცენტრი უზრუნველყოფს სტუდენტთა კონსულტირებას და დატრენინგებას დასაქმებასთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. ცენტრია ასევე თავაზობს სტუდენტებს სხვადასხვა ტრენინგებს, საჯარო ლექციებს და ვაკანსიებს, რაც ხელს უწყობს მათ დასაქმებას და კარიერულ წინსვლას. გარდა, ამისა სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები ითვალისწინებს სტუდენტებისთვის ყოველკვირეულ კონსულტაციებს, რისთვისაც წინასწარ დგება კონსულტაციების გრაფიკი. სასწავლო კურსის განმახორციელებელ პერსონალს შორის მასალების საკომუნიკაციოდ ევროპის უნივერსიტეტის მიერ გამოიყენება Moodle-ის ელექტრონულ პლატფორმა (<https://moodle.edu.ge/moodle/>). ამასთან, პროგრამის კურსდამთავრებულებიდან მხოლოდ ერთი სტუდენტია დასაქმებული, რომელმაც დამოუკიდებლად მოიძია სამსახური.

ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის მიერ სტუდენტების ინფორმირება, უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ღონისძიებების, პროექტებისა და კონფერენციების შესახებ, ძირითადად ხდება ელ.ფოსტის და უნივერსიტეტის ვებ.გვერდის გამოყენებით. უნივერსიტეტი სტუდენტებს პერმანენტულად თავაზობს სხვადასხვა გაცვლით პროგრამებს, მათ შორის ერასმუს + პროგრამას. სწორედ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ერთი სტუდენტი 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ისწავლის პრალის ფინანსებისა და ადმინისტრირების უნივერსიტეტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ევროპის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან, განმახორციელებელ აკადემიურ და მონვეულ პერსონალთან;
- ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა (<https://eunsis.eun.edu.ge/>);
- ევროპის უნივერსიტეტის მიერ გამოყენებული Moodle-ის ელექტრონული პლატფორმა (<https://moodle.edu.ge/moodle/>);
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (<https://eu.edu.ge/ge>).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს დასაქმების ფორუმების მეტი ინტენსივობით მონყობა და პროგრამის სტუდენტებს მიანოდლოს მეტი ინფორმაცია პროგრამის ბაზარზე არსებული პროფესიული ვაკანსიების შესახებ;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა კვლევითი კომპონენტის ნაწილში ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი, რომლითაც რეგულირდება სამაგისტრო ნაშრომის არჩევის, ხელმძღვანელის განსაზღვრის, ნაშრომის შესრულების და შეფასების პროცედურები. სამაგისტრო ნაშრომი სრულდება სწავლების მეოთხე სემესტრში და მისი კვლევის თემატიკის

არჩევა ხდება სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით პოტენციურ ხელმძღვანელებთან კოორდინირებით. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი - ხელმძღვანელობს მაგისტრანტის მუშაობას, ეხმარება მას კვლევის პროექტის შემუშავებაში, წყაროების შერჩევაში, საკვლევი პრობლემის ჩამოყალიბებაში, საკვლევი შეკითხვებისა და ჰიპოთეზების ფორმირებაში, აძლევს ზოგად მითითებებს დარგის აქტუალური გამოწვევებისა და შესაბამისი მიმართულებით კვლევის განხორციელების თაობაზე. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი წერს დასკვნას ნაშრომის შესრულების შესახებ და განსაზღვრავს შესრულებული ნაშრომის რეცენზენტისთვის შესაფასებლად გადაცემის საკითხს. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს უფლება აქვს ერთდროულად უხელმძღვანელოს მხოლოდ 3 მაგისტრანტს. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელის არჩევა ხდება სტუდენტის მიერ. ფაკულტეტის დეკანის მიერ საკითხის ინიცირების საფუძველზე, ხელმძღვანელს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს: ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და მონვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის სფეროში დოქტორის აკადემიური ხარისხი. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ცალკეული პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელად შეიძლება დაშვებულ იქნას განსაკუთრებული პრაქტიკული გამოცდილების და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დღემდე დაცულია 3 სამაგისტრო ნაშრომი, რომელთაც ყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რაც კარგად ჩანს ასევე შესრულებული ნაშრომების ხარისხშიც. დაცული სამაგისტრო ნაშრომები აკმაყოფილებს მსგავსი ტიპის ნაშრომისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და შესაბამისობაშია არსებულ მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი;
- დაცული სამაგისტრო ნაშრომები;
- ევროპის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან, განმახორციელებელ აკადემიურ და მონვეულ პერსონალთან;
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (<https://eu.edu.ge/ge>).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მონვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მონვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უზუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ევროპის უნივერსიტეტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 18 ლექტორი, აქედან 10 აკადემიური პერსონალია, საიდანაც 4 აფილირებულია. პროგრამის განხორციელებაში ასევე მონაწილეობს 5 მეცნიერი და 8 მონვეული პერსონალი. ლექტორების CV-ების შესწავლის შედეგად ჩანს, რომ მათ გააჩნიათ საგნის შესაბამისი კვალიფიკაცია, აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების პროცესში, ასევე სამეცნიერო საქმიანობაში. მონვეული პერსონალის უმრავლესობას აკადემიურ საქმიანობასთან ერთად აქვს სხვადასხვა ორგანიზაციებში მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობის გამოცდილება. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მონვეული პერსონალი აქტიურ მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში.

უსდ-მ წარმოადგინა აკადემიური და მონვეული პერსონალის საათობრივი დატვირთვის სქემა, საიდანაც არ იკვეთება რომელიმე პერსონალის განსაკუთრებული დატვირთულობა.

აკადემიური და მონვეული პერსონალის თანაფარდობა არის 10/8, ბოლო 5 წელიწადში ახალი და დანესებულებიდან წასული პერსონალის რაოდენობებიც არ არის მაღალი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სტაბილურ განხორციელებას.

პერსონალი აქტიურად არის ჩართული სტუდენტებთან კონსულტირების პროცესში.

პროგრამას ყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს სწავლების, კონსულტირების და სამეცნიერო საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება. ის აქტიურად არის ჩართული პროგრამის განხორციელებასა და მის განვითარებაში.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 12 ადმინისტრაციული პერსონალი. სტუდენტები კმაყოფილები არიან მათი მხარდაჭერით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, აკადემიურ, მონვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან;
- აკადემიური და მონვეული პერსონალის პირადი საქმეები;

<ul style="list-style-type: none"> ○ პერსონალის საათობრივი დატვირთვის სქემა; ○ ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (https://eu.edu.ge/ge).
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მონვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ დანესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მონვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მონვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უსდ პერიოდულად ატარებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებას. შეფასების საშუალებებია: სტუდენტების გამოკითხვა, ლექციაზე დასწრება, სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში. სტუდენტების გამოკითხვა ხდება ყოველ სემესტრულად და ნებაყოფლობითია. ლექციებს ესწრება ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის თანამშრომელი, დარგის სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი და ტრენინგ ცენტრის ხელმძღვანელი. დასწრების შემდეგ ხდება უკუკავშირი ლექტორთან და საჭიროებისამებრ ტრენინგების შეთავაზება. სამეცნიერო საქმიანობის მონიტორინგი ხდება წელიწადში ერთხელ. პერსონალის შეფასებისას თითოეული კრიტერიუმის მიხედვით მათ ენიჭებათ ქულები და მაღალი მოსწრების აფილირებულ პერსონალს გადაეცემა ფულადი ჯილდო 3</p>

000 ლარის ფარგლებში. ფაკულტეტის ბიუჯეტში განსაზღვრულია შესაბამისი თანხები პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული განვითარებისა და სამეცნიერო საქმიანობის მხარდასაჭერად. უსდ-ში ფუნქციონერებს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სტუდენტების ასევე ლექტორების აქტიურ თანამშრომლობას უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ასევე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით აფასებს მიღებულ შედეგებს, აანალიზებს და ადგენს აკადემიური პერსონალისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის საჭიროებებს და გეგმავს ხელშეწყობის მიმართულებებსა და ხელშეწყობისთვის საჭირო აქტივობებს. უსდ-ში 2016 წლიდან ფუნქციონირებს გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტი, რომლის ბაზაზე 2016 წლიდან რეგულარულად გამოიყვამა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“ (<https://www.eugb.ge/content.php>). ჟურნალი გამოიყვამა წელიწადში ორჯერ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ჟურნალი ფიგურირებს მსოფლიოში ცნობილ ისეთ ბაზებში, როგორცაა EBSCO, ERIH PLUS, Google Scholar, INDEX COPERNICUS. ჟურნალში კვლევის შედეგების გამოქვეყნება შეუძლიათ როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მკვლევარებს, პროფესორებს და სპეციალისტებს. ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში წარმოდგენილი არიან საერთაშორისო დონის პროფესორები სხვადასხვა წამყვანი უნივერსიტეტიდან, ევროპის უნივერსიტეტი ჰარვარდის ბიზნესის სკოლის კონკურენციისა და სტრატეგიის ინსტიტუტის (MOC) აფილირებული წევრია, რაც ევროპის უნივერსიტეტს აძლევს საშუალებას 2019 წლიდან განახორციელოს სასწავლო კურსი „კონკურენციის მიკროეკონომიკის“ სწავლება ჰარვარდის ბიზნესის სკოლის მეთოდოლოგიით და სასწავლო მასალით.

აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსებისა და ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტის 2021 წლის ბიზნესისა და ტექნოლოგიები ფაკულტეტზე გამოყოფილია 54 619 ლარი. თანხა ითვალისწინებს როგორც აფილირებული აკადემიური პერსონალის დაფინანსების, ასევე, ფაკულტეტის ფარგლებში პერსონალის მიერ ინიცირებული კვლევითი პროექტების დაფინანსების ხარჯებს. მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში, ისინი აქვეყნებენ სამეცნიერო პუბლიკაციებს რეფერირებად გამოცემებში და მათი თანამშრომლობა უცხოელ კოლეგებთან ხელს უწყობს ევროპის უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, აკადემიურ, მონწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან;
- აკადემიური და მონწვეული პერსონალის პირადი საქმეები;

<ul style="list-style-type: none"> ○ პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი; ○ აკადემიური და მონვეული პერსონალის შეფასების შედეგები, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები; ○ ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტი; ○ ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (https://eu.edu.ge/ge).
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>4.3 მატერიალური რესურსი</p> <p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლა-სწავლებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსით. მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის განხორციელება ხდება ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში (თბილისი, 0141, გურამიშვილის გამზირი №76). შესაბამისად უნივერსიტეტს გააჩნია სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკის წიგნალი ფონდი, აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფითა და ინტერნეტით. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც წარმოდგენილია სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებით. გარდა ამისა, ევროპის უნივერსიტეტს წვდომა აქვს შემდეგ სამეცნიერო ბაზებზე: EBSCO EP Package ELITE, eIFL -</p>

ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის. აღნიშნული ელექტრონული რესურსებით სარგებლობა შესაძლებელია როგორც უნივერსიტეტის შენობიდან, ისე უნივერსიტეტის შენობის გარედან. უნივერსიტეტის შენობის გარედან ბაზებზე წვდომის მისაღებად უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები მიმართავენ ბიბლიოთეკას ინდივიდუალური იუზერების და პაროლების მისაღებად. ბაზებზე შესვლისა და ნავიგაციის დეტალური ტუტორიალები, სამეცნიერო ელექტრონული ბაზების სრული ჩამონათვალი და აღწერა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე (<https://eu.edu.ge/ge/library>). ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (<http://esu.edu.ge/biblio/opac/index.php>). კატალოგში ძიება საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ პირს მოიძიოს ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი ლიტერატურა, ასევე არსებული ეგზემპლარის რაოდენობა, გატანილი და დარჩენილი ეგზემპლარების რაოდენობა.

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის დათვალიერება მოხდა ვირტუალურად, ხოლო წიგნები გადამოწმდა ონლაინ ბიბლიოთეკართან შეხვედრის დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, აკადემიურ, მონვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან;
- უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა;
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (<https://eu.edu.ge/ge>).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტების ნამუშევრების გასწორების ელექტრონული სისტემა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-მ წარმოადგინა როგორც მთლიანი დაწესებულების ასევე პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტი, სადაც დეტალურად არის წარმოდგენილი როგორც შემოსავლის წყაროები ასევე ხარჯები.

აღსანიშნავია, რომ უმაღლესი სასწავლებლის ცენტრალურ ბიუჯეტში წარმოდგენილია შემოსავლები აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობიდან, ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტების სახით. ფაკულტეტის ბიუჯეტში კი აღნიშნული მუხლი ცარიელია, მიუხედავად იმისა, რომ ფაკულტეტზე საქმიანობს და პროგრამის განხორციელებაში აქტიურად არის ჩართული 5 მეცნიერი. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, ისინი მუშაობენ სამეცნიერო გრანტების მოსაპოვებლად.

საყურადღებოა, რომ ფაკულტეტი 2021 წლის ბოლოსთვის ელოდება 51 367 ლარის ზარალს. ზარალის დაფინანსების წყარო არ არის ბიუჯეტში წარმოდგენილი, თუმცა როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, უსდ-ს ცენტრალური ბიუჯეტიდან მოხდება მისი დაფინანსება. აღსანიშნავია, ისიც რომ პროგრამაში ჩართული სტუდენტების რაოდენობა მცირეა, სულ 9 სტუდენტი. ამასთან, პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ უსდ გეგმავს სტუდენტების მოსაზიდად აქტიურ მარკეტინგულ კამპანიას, შესაბამისი ხარჯები კი ფაკულტეტის ბიუჯეტში ნათლად არ არის წარმოდგენილი.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე რეკომენდებულია ფაკულტეტის ბიუჯეტში მკაფიოდ გაიწეროს, როგორც შემოსავლების მიღების ყველა პოტენციური წყარო, ასევე გასაწევი ხარჯების ყველა კომპონენტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითმეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან;
- უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (<https://eu.edu.ge/ge>).

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ფაკულტეტის ბიუჯეტში მკაფიოდ გაიწეროს, როგორც შემოსავლების მიღების ყველა პოტენციური წყარო, ასევე გასაწევი ხარჯების ყველა კომპონენტი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადამწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების

ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ევროპის უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს და სახელმძღვანელო პრინციპებს განსაზღვრავს „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ხარისხის უზრუნველყოფა ემსახურება უნივერსიტეტის მისიით გაცხადებული მიზნების მიღწევას და წარმოადგენს მთლიანი საუნივერსიტეტო საზოგადოების პასუხისმგებლობისა და ვალდებულების საგანს.

საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების პროცესს კი უშუალოდ ხელმძღვანელობს ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად. სამსახური საქმიანობას ახორციელებს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურების“ შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტის მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების, არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსების ეფექტიანობის უზრუნველყოფა, უნივერსიტეტში მიმდინარე საქმიანობისა და მოქმედი რეგულაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა და ამ მიზნით შესაბამისი შეფასებების განხორციელება. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების არეალი კი მოიცავს როგორც საგანმანათლებლო პროგრამებს, ისე პროგრამების განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მონვეულ პერსონალს, სასწავლო პროცესს, კვლევასა და ზოგადად, უნივერსიტეტის მართვის პროცესებს.

სამსახური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განვითარებისა და შეფასების მიზნით ხელმძღვანელობს PDCA ციკლით, რაც გულისხმობს პროცესების დაგეგმვას, განხორციელებას, შემოწმებასა და განვითარებას.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტში მოცემული დოკუმენტებისა და მტკიცებულებების ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ „მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-შეფასების პროცესში დასჯულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით განსაზღვრული კრიტერიუმები და პროცედურები. სახელდობრ:

1. საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების მიზნები და შედეგები შემუშავებულია ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად;
2. შემუშავებულია პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების მექანიზმები (პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, სწავლება-სწავლის მეთოდების/აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების

მექანიზმი);

3. განხორციელებულია საგანმანათლებლო პროგრამის წლიური შეფასება, რომელიც მოიცავს როგორც პროგრამის შინაარსობრივი ნაწილის, ისე რაოდენობრივი მაჩვენებლების, ადამიანური და მატერიალური რესურსების, კურიკულუმს გარე აქტივობების შეფასებას და სხვ.;
4. გაანალიზებულია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგები სავალდებულო სასწავლო კურსებისათვის;
5. განხორციელებულია საგანმანათლებლო პროგრამის მსგავს პროგრამებთან შედარების ანალიზი;
6. ჩატარებულია სისტემური კვლევები პროგრამის ფარგლებში და წარმოდგენილია შედეგების ანალიზი;
7. განხორციელებულია ლექტორებისა და სასწავლო კურსების, სააუდიტორიო და საგამოცდო პროცესების შეფასება.

ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის კომიტეტის წევრები, აკადემიური და მონვეული, ისევე როგორც ადმინისტრაციული პერსონალი იცნობს პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურებს და აქტიურად იყვნენ ჩართული როგორც პროგრამის განახლება-შეფასების, ისე თვითშეფასების დოკუმენტის მომზადების პროცესში. პროგრამის აკადემიური და მონვეული პერსონალის თქმით, ისინი აქტიურად თანამშრომლობდნენ ფაკულტეტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, იღებდნენ რეკომენდაციებს სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების ახალ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. აღნიშნული დასტურდება როგორც ინტერვიუს შედეგებით, ისე წარმოდგენილი სასწავლო პროგრამითა და სასწავლო კურსების მიზნებისა და სწავლის შედეგების აღწერილობებით.

თანდართული დოკუმენტაციებითა და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის პერსონალის მიერ გათვალისწინებული იქნება და პროგრამაში აისახა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაზიარებული პროგრამის შეფასების შედეგები, რაც მოიცავდა: სტუდენტთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის, ადმინისტრაციის მხრიდან განხორციელებულ აკადემიური პერსონალის შეფასების, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგებსა და ქართველი და უცხოელი გარე ექსპერტების ჩართულობით შემუშავებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები;

<ul style="list-style-type: none"> ○ სტუდენტების მიერ ლექტორებისა და სასწავლო კურსების შეფასების შედეგები, შედეგებზე რეაგირების ანგარიშები; ○ სტუდენტებისა და პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები, შედეგებზე რეაგირების ანგარიშები; ○ სტუდენტების მიერ საგამოცდო პროცესების შეფასების შედეგები, შედეგებზე რეაგირების ანგარიშები; ○ ადმინისტრაციული პერსონალის მიერ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების შედეგები, შედეგებზე რეაგირების ანგარიშები; ○ სააუდიტორო მუშაობის შეფასების შედეგები, შედეგებზე რეაგირების ანგარიშები; ○ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, ანალიზის შედეგების გამოყენების ანგარიში; ○ დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიშები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი და ინტერვიუების შედეგებით დასტურდება პროგრამის ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმებად სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებით მიღებული შეფასებებისა და გარე, უცხოელ და ქართველ ექსპერტთა რეკომენდაციების გამოყენება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაანალიზდა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციები და მოხდა პროგრამაში რიგი ცვლილებების ასახვა. აგრეთვე, სააკრედიტაციო პაკეტში წარმოდგენილია 3 გარე ექსპერტის შეფასება შესაბამისი დასკვნებითა და რეკომენდაციებით. ამ უკანასკნელთა დიდი წილი პროგრამაში მეტ-ნაკლებად ასახულია.

გარე აქტორების შეფასებების მიღების მიზნით დამატებით ჩატარებულია დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების კვლევა. პროგრამაში ასახულია აღნიშნული კვლევების შედეგებით გამოკვეთილი რჩევები და რეკომენდაციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2015 წლის 7 აგვისტოს №125 გადაწყვეტილება;
- მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმავითარებელი შეფასების პროცესში გარე ექსპერტების დასკვნები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მონვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზანია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობით განხორციელების უზრუნველყოფა, სასწავლო თუ კვლევითი პროცესის შეფასება სტუდენტთა, აკადემიური/მონვეული პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მონაწილეობით. ამ მიზნით, ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებულია რიგი შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციები (მაგ., ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები) და ნორმატიული აქტები (რექტორის ბრძანებები), რომლებიც განსაზღვრავენ საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების მიდგომებს, პროცედურებს, ეტაპებს, მასში ჩართულ პირებსა და ა.შ.

მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის შეფასების პროცესი წარმართა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებისა და პროგრამის ხელმძღვანელის უშუალო ჩართულობით. პირველ ეტაპზე, პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამის კომიტეტის მიერ შემუშავებული პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის სამუშაო ვერსია შეფასდა დამსაქმებლების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულები მიერ ელექტრონული პლატფორმის (SurveyMonkey) გამოყენებით. მიღებული შედეგების გაანალიზებისა და პროგრამაში გარკვეული ცვლილებების ასახვის შემდგომ, კვლავ დამსაქმებლების ჩართულობით იქნა განხილული წარმოდგენილი პროგრამა. პანელზე მონაწილე დამსაქმებელთა მხრიდან დადასტურდა საგანმანათლებლო პროგრამის განხილვის პროცესში ჩართულობა.

პროგრამების შეფასება და მონიტორინგი, მათ შორის, მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის, ევროპის უნივერსიტეტში ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით. თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტების (იხ. დანართი N13) ანალიზით დასტურდება, რომ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განხორციელებულია პროგრამის წლიური შეფასება, რომელიც მოიცავს პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის

საფუძველზე პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას, ინფორმაციას პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალისა და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, საბიბლიოთეკო რესურსის შესახებ, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების მოკვლევას და შეფასება, სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში და ექსრტაკურიკულურ აქტივობებში მონაწილეობის შეფასებას.

ამას გარდა, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესების მიზნით დანერგილია სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი; სწავლის შედეგების ჩაშლა შეფასების ინდიკატორებად და ინდიკატორების შეფასება (იხ. დანართი N1-ის ქვედანართი - სწავლის შედეგების შეფასება)) და არაპირდაპირი მეთოდების (პროგრამის კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი) გამოყენება. სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგები და გამოვლენილი გასაუმჯობესებელი საკითხები ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელსა და კომიტეტს რეაგირებისა და პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების ასახვის მიზნით.

პროგრამის მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება ხორციელდება სააუდიტორო საქმიანობის შეფასების გზით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის, სფეროს ან მომიჯნავე სფეროს სპეციალისტის, პროგრამის ხელმძღვანელისა და სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის წარმომადგენლის მიერ. შეფასებით მიღებული შედეგები კი ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელსა და ფაკულტეტის დეკანს რეაგირებისთვის. ინტერვიუებში მონაწილე აკადემიური და მონვეული პერსონალისა და ადმინისტრაციულ დეპარტამენტთა წარმომადგენლების მიერ დადასტურდა აღნიშნულ პროცესებში აქტიური ჩართულობა და მაღალი ცნობადობა მიღებული შედეგების გაზიარების მიმართულებით.

ევროპის უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალი სისტემატიურად ფასდება წინასწარ შემუშავებული კითხვარებით სტუდენტთა მიერ. ამ მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს უზრუნველყოფს სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასებას, რა გულისხმობს სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსის შინაარსის, სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსის შინაარსის, სწავლების და შეფასების მეთოდების ადეკვატურობის, მატერიალური რესურსების, ლიტერატურის შესაბამისობის და სხვა კრიტერიუმების შეფასებას. ამას გარდა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის, საგამოცდო ცენტრის თანამშრომლების მხრიდან. პერსონალის შეფასება ასევე მოიცავს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიურ შეფასებას და ამ შეფასებების კვალდაკვალ პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირებას, წახალისებისა და პროფესიული

განვითარებისთვის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას.

დამატებით, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში წარმართული სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით გამოიყენება კმაყოფილების კვლევის კითხვარები. გამოკითხვაში მონაწილეობას იღებს როგორც აკადემიური პერსონალი, ისე სტუდენტები. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში დანერგილია ანგარიშვალდებულებითი სისტემა, რაც გულისხმობს სხვადასხვა სტრუქტურული დეპარტამენტის მხრიდან გამოკითხვის შედეგებზე რეაგირების ანგარიშის წარმოებასა და სამოქმედო გეგმების დასახვას გამოკითხვაში გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებთან მიმართებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ფასდება საგამოცდო პროცესებიც, რაც გულისხმობს სპეციალური კითხვარით სტუდენტთა მიერ საგამოცდო პროცესების ორგანიზების საკითხების, საგამოცდო საკითხების სილაბუსის შინაარსთან და სილაბუსით განსაზღვრულ დავალებებთან შესაბამისობის შეფასებას.

საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის, მისი განვითარების, საერთაშორისო და ადგილობრივი საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით უნივერსიტეტში დანერგილია საგანმანათლებლო პროგრამების შედარების პრაქტიკა წარმატებულ ადგილობრივ და საერთაშორისო უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. „მენეჯმენტი“-ს სამაგისტრო პროგრამა, აღნიშული მიდგომით, შედარებული და გაანალიზებულია 7 ქართული და 3 საზღვარგარეთის უნივერსიტეტის 11 საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით. წარმოდგენილი დოკუმენტებითა და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს ამ მიმართულებით საფუძვლიანი მოკვლევა და სამუშაოები აქვთ ჩატარებული.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა გამართულია. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები და შესაბამისი ვალდებულებები გაზიარებულია საუნივერსიტეტო საზოგადოების მიერ, თუმცა ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა აღნიშნულ პროცესში სტუდენტებისა და დამსაქმებლების მეტ-ნაკლებად ფორმალური ჩართულობა, რაც თავად უნივერსიტეტსაც აქვს იდენტიფიცირებული მომავალში გასაუმჯობესებელ მხარედ. სასურველია, პროგრამის მონიტორინგისა და განახლების მიზნით მოხდეს სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობის არხების გააქტიურება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები;

- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები, შედეგების გათვალისწინების ანგარიშები;
- მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის წლიური შეფასების ანგარიში;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, ანალიზის შედეგების გათვალისწინების ანგარიში;
- სააუდიტორო საქმიანობის შეფასების ანგარიშები და შეფასების შემაჯამებელი ანგარიშები;
- აკადემიური და მონვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის ცხრილი;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების შედეგები, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები;
- ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები, გამოკითხვის შედეგებზე რეაგირების ანგარიშები;
- საგამოცდო პროცესების შეფასების შედეგები, გამოკითხვის შედეგებზე საგამოცდო ცენტრის რეაგირების ანგარიშები;
- მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია	მეტწილად	ნაწილობრივ	არ	არის
-----------	-----------------	----------	------------	----	------

	მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულების სახელწოდება:

შპს ევროპის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა


დასკვნის პროექტის გვერდების რაოდენობა: 46

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ვასილ კიკუტაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მერაბ ხოხობაია



ქრისტინე ჩიხლაძე



თამარ ლულუნიშვილი



დავით ქარცივაძე

